Community-led Urban Strategies in Historic Towns (COMUS)

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

COMUS-ის მერების დეკლარაცია

ჩვენ, „თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში“ (COMUS) პროექტის მონაწილე საპილოტე ქალაქების მერები, რომლებიც შევიკრიბეთ თბილისსა და დუშეთში 201 წლის 7-8 დეკემბერს:

i. ვაცნობიერებთ რა მემკვიდრეობას, როგორც რესურსს და ძირითად ინსტრუმენტს ურბანული განვითარების დემოკრატიზაციისათვის;
ii. ვაღიარებთ რა მემკვიდრეობის ობიექტების დაგეგმვის, დაპროექტების, პროექტების განხორციელების და მართვის პროცესში ადგილობრივი თემის მონაწილეობის, ერთად მოქმედების და ინკლუზიურობის მნიშვნელოვანებას.
iii. ვითვალისწინებთ რა ადგილობრივ სტრატეგიულ და განვითარების გეგმებში და პოლიტიკის დოკუმენტებში მემკვიდრეობის ინტეგრირების საჭიროებას;

ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას პროექტის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და ქმედებების შესრულების მიმართ, და ვიღებთ შემდეგ დეკლარაციას:

1. მივესალმებით COMUS-ის მეთოდოლოგიას - კულტურული მემკვიდრეობის გაუმჯობესებით მოახდინოს ისტორიულ ქალაქებში სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
2. ვიღებთ ვალდებულებას პოლიტიკურად და ფინანსურად მხარი დავუჭიროთ პრიორიტეტული ქმედებების განხორციელებას პროექტის ფარგლებში შემუშავებული საბაზო გეგმების შესაბამისად; გავაღრმაოთ მეთოდოლოგიის შესწავლა და შემდგომშიც გამოვიყენოთ მემკვიდრეობისა და ქალაქგეგმარების მიმართ ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომა ადგილობრივი სტრატეგიულ გეგმებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში;
3. მოვუწოდებთ სხვა ისტორიულ ქალაქებს მიიღონ აღნიშნული მიდგომა მხედველობაში და გადადგან ნაბიჯები მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობისთვის, რათა გაზიარებულ იქნას რესურსები საერთო გამოწვევების დასაძლევად.
4. ვაცხადებთ მზაობას ვითანამშრომლოთ COMUS-ის საპილოტე ქალაქებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ადგილობრივ და ეროვნულ პარტნიორთა ერთობლივი ქმედებების ეფექტური განხორციელებისათვის.